

შეუსწავლელ მდინარეებზე მცირე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული  
ჰიდროლოგიური გათვლები მდინარე აკავრეთას მაგალითზე

*მერაბ ალავერდაშვილი, გიორგი ბრეგვაძე, დარეჯან კიკნაძე, ნანა კოკაია,  
ნესტან ხუფენია, ნუნუ ცინცაძე*

ელ-ფოსტა: [merab.alaverdashvili@tsu.ge](mailto:merab.alaverdashvili@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

საქართველოში არსებული ენერგორესურსებიდან, რომელთა პოტენციალი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით 2001 წლიდან მოყოლებული, მათი გამოყენებისათვის დიდი სამუშაოები ტარდება. უნდა ითქვას, რომ ასაშენებელი ჰესების არსებული პროექტებიდან 10 უკვე მშენებლობის და 19 ნებართვის სტადიაშია, რომელთა მიერ საბოლოოდ 2023 წლამდე ვადაში მოცემული სიმძლავრე ჯამში 2378 მგვტ იქნება, რომელიც დაემატება აქამდე არსებულ ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებულ სიმძლავრეს - 3726 მგვტ-ს და მიღებული 6010 მგვტ საგრძნობლად გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო ენერგო მოხმარებას, მოხდება მისი ნაწილობრივი ექსპორტიც, რაც დადებითად იმოქმედებს ჩვენს ეკონომიკაზეც.

ჩვენს მიერ მდინარე აკავრეთასათვის, ჰესის კვეთში, შეზის ფორმულის გამოყენებით გამოთვლილ იქნა 2016 წლის 28 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის მაქსიმალური ხარჯი - 98.7 მ<sup>3</sup>/წმ, ასევე წყლის დონეთა რყევადობის 1.90 მეტრის შუალედისათვის სხვადასხვა ხარჯები, რომელთა საშუალებით აიგო ხარჯების მრუდი და განისაზღვრა წყლის ყოველდღიური ხარჯები, შესაბამისად საშუალო წლიური ხარჯი - 8.64 მ<sup>3</sup>/წმ, მდინარის ჩამონადენი (0.27 კმ<sup>3</sup>) და მისი შიდაწლიური განაწილება. საპროექტო კვეთში ჰესის სიმძლავრედ მიღებულია 19.3 მგვტ. მიღებული ჰიდროლოგიური პარამეტრების გათვლები, შეზის ფორმულის გამოყენებით, წარმოადგენს ანალოგს ჰესების დაპროექტებისათვის საჭირო ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ კომპონენტს.